სიტუაციური და პიროვნული შფოთვის კავშირი გამკლავების სტილებთან COVID-19 პანდემიის პირობებში

მარიამ ჯაფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯაფარიძე

2021 წელი

სარჩევი

სიტუაციური და პიროვნული შფოთვის კავშირი გამკლავების სტილებთან COVID-19 პანდემიის პირობებში 0

აბსტრაქტი 3

Abstract 5

შესავალი 6

საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები 14

მეთოდი 15

შერჩევა 15

პროცედურა 16

ინსტრუმენტები 16

ანალიზის სტრატეგია 18

შედეგები 18

შედეგების ანალიზი 21

დასკვნა 23

გამოყენებული ლიტერატურა 24

აბსტრაქტი

საქართველოში 2020 წლის გაზაფხულზე დაწყებული საკარანტინო პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობას მოუხდა ცხოვრების ახალ წესთან ადაპტირება, რაც გულიხმობდა ჰიგიენური ნორმების მკაცრ დაცვას, სოციალურ დისტანციას, პირბადის ტარებას, სწავლისა და მუშაობის დისტანციურად გაგრძელებას და ა.შ. მსგავსი სიტუაცია უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც გამოიხატება შფოთვისა და დეპრესიის გამწვავებასა და სოციალურ იზოლაციაში. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა კარანტინის დროს პიროვნული შფოთვისა და სიტუაციური შფოთვის გამკლავების სტილებთან კავშირის შესწავლა. კვლევის საგანს წარმოადგენდა განმკლავების სტილების გამოყენებისას სქესის მიხედვით განსხვავებაც. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 57 ადამიანმა, რომელთაგან 54.4% იყო მამრობითი სქესის, ხოლო დანარჩენი 45.6%- მდედრობითი სქესის. (SD = 9.3). მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენებოდა *პიროვნული შფოთვისა(Trait Anxiety Inventory (STAI))* და *სიტუაციური შფოთვის (Trait Anxiety Inventory (STAI))* თვითანგარიშის კითხვარების ქართულენოვანი თარგმანის ვალიდირებული ვერსია, ასევე, *გამკლავების სტილების კითხვარის* სპეციალურად პანდემიიის პირობებზე მორგებული ქართულენოვანი თარგმანი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ორ განზომილებას: (ა) პრობლემაზე ფოკუსირებულ და (ბ) ემოციაზე ფოკუსირებულ სტილებს. მონაცემთა ანალიზის შედეგად არ დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ქალებისა და კაცების პრობლემაზე ფოკუსირებული გამკლავების სტილის საშუალო ქულებს შორის. პიროვნული შფოთვა დადებით კორელაციაშია პრობლემაზე ფოკუსირებულ გამკლავების სტილთან და მისთვის პრედიქტორული ღირებულება აქვს. სიტუაციური შფოთვას კი დადებითი კორელაცია

აკავშირებს ემოციაზე ორიენტირებულ გამკლავების სტილთან და წარმოადგენს მის პრედიქტორს.

Abstract

Due to the quarantine conditions in Georgia, which started in the spring of 2020, the population had to adapt to the new way of life, which meant strict adherence to hygienic norms, social distance, wearing a facemask, learning and working online and etc. A similar situation has a negative impact on people's mental health, manifested in aggravation of anxiety and depression and social isolation. The aim of the present study was to investigate the relationship between trait anxiety and state anxiety and coping styles during quarantine. The subject of research was also the difference by gender in the use of coping styles. Fifty-seven people participated in the study, of whom 54.4% were male and the remaining 45.6% were female (SD = 9.3). A validated Georgian translation of the Trait Anxiety Inventory (STAI) and State Anxiety Inventory (STAI) self-report questionnaires were used to collect data, as well as a Georgian translation of the Coping style Questionnaire. The Coping Style Questionnaire includes: (a) problem-focused and (b) emotion-focused styles. Data analysis showed no statistically significant difference between the mean scores of the problem-focused coping style of women and men. Trait anxiety is positively correlated with problem-focused coping style and has predictive value for it. State anxiety is positively correlated with emotion-oriented coping style and is its predictor.